

140
1974

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ՇՈՒՐԱԿԱՌՈՒՅՑ



ՀՈՒՍԵՆՈՒՆ 7 1974



საბჭოთა
კავშირები

ვ. ი. ლენინი, საპარტიო სემინარის დროს მუშაკებს უსმობს.

შენიშვნა: ვ. ი. ლენინი

50 წელიწადი წარსულსა და მომავალს შორის



3. ბაბრამი,

საპარტიოლოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

1974 წლის 12 ივლისს შესრულდა 50 წელი მას შემდეგ, რაც რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის VI ყრილობამ კომკავშირელთა 700-ათასიანი არმიის სახეივანი დაადგინა:

მიენიჭოს კომკავშირის პროტეკტორატის ბელადის ვ. ი. ლენინის სახელი.

კომკავშირისათვის ვ. ი. ლენინის სახლის მინიჭება ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობამ აღქვა როგორც დიდი პატივი, რომელიც მას გაზრდილ ვალდებულებებს აკისრებდა, დიდ ამოცანებს უსახავდა. ეს ამოცანები კონკრეტულად ჩამოყალიბდა VI ყრილობის მიერ შემუშავებულ მანიფესტში. მასში ეწერა: იმისათვის, რამდენად უნდა ვატაროთ ვ. ი. ლენინის სახელი, განუხრებლად უნდა ვიბრძოლოთ წარსულის გადმონაშ-

თების წინააღმდეგ, ვაშენოთ ახალი, კომუნისტური საზოგადოება, ვისწავლოთ, დავაგროვოთ ცოდნა და გამოცდილება, მტკიცედ დავიცვათ მშუბურ-გლეხური ხელისუფლება, ვავხდეთ თანამიმდევრული და ურყვეობი ლენინელები. ეს იყო ლენინური კომკავშირის ფიცი თავისი ბელადისა და კომუნისტური პარტიის წინაშე. მას შემდეგ განვლილი, თავდადებული შრომით, უდიდესი გამარჯვებებით აღსავსე, 50 წელი მკაფიო დადასტურება იმისა, რომ ჩვენი ახალგაზრდობა მუდამ ერთგული იყო ამ ფიცისა.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კომკავშირი იქცა მილიონობით ქალიშვილისა და ჯაბუკის პოლიტიკურ სკოლად. ახალგაზრდობის ავანგარდი — ლენინური კომკავშირი იწრობოდა საბჭოთა სახელმწიფოს ჩამოყალიბების მეთად რთულსა და მძიმე პირობებში. ჭერ კიდევ სამოქალაქო ომის, ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის პერიოდში კომკავშირმა დაამტკიცა, რომ იგი კომუნისტური პარტიის ერთგული თანაშემწე და რევერვია. პარტია კომკავშირის სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ყველაზე რთულ და საპასუხისმგებლო უბნებს ანდობდა. ფასდაუდებელია ახალგაზრდობის წველილი პირველი ხუთწლიების პირმშოთა მშენებლობაში. ჩვენი გამარჯვებული ბრძოლისა და ჯაბუკების ხელით შენდებოდა სიკვამლის ქალაქი — ამურის კომსოხლსკი, დენიკარების, მაგნიტკა, კუხნახი...

საყოველთაოდ ცნობილია, რა დავიწყარი ფურცლები ჩაწერა კომკავშირმა დიდი სამამულო ომის მავიანეში. იმ მძიმე წლებში ახალი ძალით გამოვიდნოდა ახალგაზრდების

ნებისყოფა და შემართება, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული ჩვენი ქვეყნის თავისუფლებას და ხალხის ბედნიერებას შესწირეს თავი ლენინური კომკავშირის აღზარდილებმა: ილიგე კოშევიმ და ზოია კოსხილდენიანსკიამ, ნიკოლოზ ვასტელომ და შოთა გამცემლიძემ, ზოია რუსაძემ და თინა იოსებიძემ... ძველი იყო ომის შემდგომი წლები, გრანდიოზული იყო აღდგენითი პერიოდის გეგმები. მაგრამ ლენინური კომკავშირის ხელმძღვანელობით მონოლითურად დარაზმულმა ახალგაზრდობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თითქმის მილიანად დანგრეული სახალხის მებურნეობის აღდგენაში.

1954 წლიდან პარტიამ კომკავშირის ახალი საქმეებისაკენ მოუწოდა — დაიწყო ყამირი და ნახევარი მიწების ათვისება. ლენინური კომკავშირის მიერ ჩვენი ქვეყნის სამხრეთ და აღმოსავლეთ რაიონების უმსხვილეს სასოფლო-სამეურნეო და სამშენებლო ობიექტებზე მივიღინებულმა ახალგაზრდებმა ხალხის სამსახურში ჩაუყენეს ათეული მილიონობით ჰექტარი მიწა, ააშენეს ასობით ფაბრიკა-ქარხანა, საცხოვრებელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები.

ყამირის ათვისების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე სკაკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეიენცმა აღნიშნა: „ნამდვილად შესანიშნავი ფურცელი ჩაწერა ყამირის სამკოთა მებურნეობების შემდეგმ განვითარებაში სამკოთა სტუდენტობამ. პირველი წელი რო-



კამეჩა

7

ივლისი 1974

საპარტიოლოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანი


ბაბრამი 1926 წლის 15

საქ. კ. მან. პარტიკულარია

ტიბის ყოველდღიური მორჩენილობის დამადისტურებელმა საქართველოს კომკავშირის 1978 წლის ფენისის აქტივის კრება, რომელსაც მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ახ. ე. ა. შვეკარდნაძე. კრებამ რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციას დაუახლოვებულ ამოცანები, რომელთა განხორციელებისათვის ბძძოლის ნიშნით შეხვდა იგი თავის XXX ყრილობას. ახ. აღგაზრდობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის შემდგომი აღდგენით, შრომითი მიღწევებით უპატივსა საქართველოს კომკავშირსა საკავშირო ალკ XVII ყრილობას, რომელზეც საბჭოთა ახალგაზრდობის საქმიანობამ პარტიისა და მთავრობის მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ჩვენი ვალა ვისწავლოთ კომუნისში. ეს კი ნიშნავს, ვისწავლოთ კომუნისტურად ცხოვრება, დავიყაროთ ახალი მწვერვალები, ვიბრძოლოთ ჩვენი იდეალებისათვის. ვ. ი. ლენინის ახალგაზრდობას მოუწოდებდა გაემდიდრებინათ თავისი ცოდნა იმ სიმდიდრით, რომელიც აღამიანს შეუქმნია. უამისოდ წარმოუდგენელი კომუნისში მშენებელი აღამიანი. ახალგაზრდობა პირნათლად ასრულებს ლენინის ანდერძს — ისწრავის იცხოვროს და იმუშაოს ისე, როგორც ასწავლიდა დიდი ბელადი.

კომკავშირისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მინიჭების 50 წლისთავის იუბილე კომკავშირის, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის ერთსულვნიება და პარტიის ვარშემო მჭიდრო დარაზმულობის დათვალერეზაა.



და, რომ მის მინდერებსა და სამშენებლო რაზმებში შრომობს, თანაც კეთილსინდისიერად, მრავალი ათასი სტუდენტი. ჩვენთვის, ამხანაგებო, დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტომას, თუ რას აძლევენ ისინი ყამირს, არამედ იმას, თუ ყამირი რას აძლევს ამ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს. ისინი აქ გაღიან შრომითი და ფიზიკური წრთობის სკოლას, ენარებიან ნამვილ სახელმწიფო საქმეს, ეწევიან დიდ პოლიტიკურ და კულტურულ მუშაობას.

დღიდან თავის დაბადებისა, კომკავშირი აქტიურად მონაწილეობს ჩვენს ქვეყანაში კულტურული რევოლუციის ლენინური გეგმის განხორციელებაში.

20-იან წლებში საყოველთაო-სავალდებულო სწავლაზე გადასვლასთან დაკავშირებით პარტიის მოწოდებას კომკავშირმა კონკრეტული საქმეებით უახსუხა. მთელი თავისი ისტორიითა და დღევანდელი საქმიანობით, დაუღალავი შრომით, ცოდნის მწვერვალებს დაუფლებაში მიღწეული წარმატებებით კომკავშირი ცხადყოფს ლენინის ანდერძისადმი, კომუნისში იდეალებისადმი თავის ურყევ ერთგულებას. საკავშირო

ალკ XVII ყრილობაზე, რომელიც კომკავშირისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მინიჭების ნახევარსაუკუნეოვანი იუბილის წელს გაიმართა, სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ბ. რეზნევა თქვა: „ჩვენ, კომუნისტები, ვამაყობთ ჩვენი ახალგაზრდობით. ჩვენი ქვეყნის არა ათასობით და არა მილიონობით, არამედ ათეულ მილიონობით ქალიშვილი და ჭაბუკი უკავშირებს თავის ბედს კომკავშირს. მრავალი მილიონი საბჭოთა აღამიანისათვის კომკავშირი ბოგრაფიის განსუოფელი ნაწილი გახდა, ჩვენი საშრობლოსათვის კი იგი მისი მარადული სიახალგაზრდავის განსახიერებაა“.

ეს სიტყვები კომკავშირის ბეგვრავალებს, ახალი წარმატებებისაკენ მოუწოდებს.

ლენინური კომკავშირის საერთო მიღწევებში თავისი წვლილი შექონდა და შეაქვს საქართველოს კომკავშირის 580-ათასიან რაზმს, რომელიც მთელ თავის მუშაობას წარმართავს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და სწორედ ეს განპარობებს ყველა მის წარმატებას. რესპუბლიკის კომკავშირისადმი პარ-



„მცხელაზე უფრო
დღეს მცხელი,
ლენინო ღვაწაბარ,
ცოდნა ხარ ჩვენი,
იარაღი
და ძალა პარტია“.

3. ვაიკოვსკი.

სახელოვან საქმეებს, ყველა სა-
უღმძველი გვაქვს ვიჭვით რომ იგი
უდიდესი ღირსებით ატარებს ახალ-
გაზრდათა ლენინური კავშირის სა-
პატიო სახელს“.

რას ნიშნავს ეს მაღალი შეფასე-
ბა? იმას, რომ ლენინური კომკავში-
რი, საბჭოთა ახალგაზრდები იმ ფი-
ციის ერთგული არიან, რომელიც და-
დეს რუსეთის კომკავშირის VI ის-



34 პირობის გულისიკვა

50 წელი, ნახევარი საუკუნე!

ბევრია თუ ცოტა ეს დრო?

ბევრად არის და ცოტაც.

ბევრია, თუ გავისვენებთ იმ ქარ-
ტეხილებს, რაც ამ პერიოდში გადა-
იტანა ჩვენმა სამშობლომ; ცოტაა
ისტორიისათვის, რადგან ის ადამი-
ანები, რომლებიც 50 წლის წინათ
რუსეთის ახალგაზრდათა კომუნის-
ტური კავშირის VI ყრილობაზე
კომკავშირისათვის ვლადიმერ ილი-
ან ძე ლენინის სახელის მინიჭების
გამო წინადადეს სდებდნენ, სულ
ახლან კომკავშირის XVII ყრილო-
ბას მიესალმნენ.

მაშინ წითელვარსკვლავიანი ბუ-
დიონურებით, გაცრეცილო ტყავის
ქურთუვებით, ხისბუღიანი მაუზუ-
რებით, ქარდაკრული, შხემოკიდე-
ბული, დღეს კი ასაკოვანი ხალხი
კომკავშირის წოდებებით, ქვეყნის
მაღალი ჯილდოებით მკერდმამუ-
რებულ, დაბრუნებულ. 20-იანი
წლების კომკავშირელების მხრებზე
გადაიარა რევოლუციამ, ესპანეთმა,
ხალხბუნებამ, სამოქალაქო და სა-
მამულო ომმა... მათ საყუთარი სისხ-
ლით დაიციეს რევოლუციის მონაპო-
ვარი.

წლები ბევრია.

გაიქა ერთი — მისი სახელით
განსივრებით, ლენინური.

„როცა გადავხედავთ გზას, რომე-
ლიც კომკავშირმა გაწვალა — თქვა
ლენინი ილიან ძე ბრეჟნეფმა კომ-
კავშირის XVII ყრილობაზე, — მის

ტორიული ყრილობის დელეგატებ-
მა, ლენინის სახელი რომ მიიღეს.

ლენინის სახელით შთაგონებულ
მიდიოდა კომკავშირი პირველი ხუთ-
წლიანი მშენებლობებზე, გააყვად
პირველი ხნულები საკომუნისტო
ყანაში.

ლენინის სახელით რკინის კედ-
ლად აღმართნენ, დაუმარცხებელ
ძალად იქცნენ საბჭოთა ახალგაზრ-
დები სამშობლოს მწვლელობის
ქაშაში.

ლენინის სახელით ფერფლიდან
აღადგინეს ქალაქები და სოფლები.

ლენინის სახელით ათეთისს შო-
რეული აღმოსავლეთის, ციმბირის,
უკრაინის ჩრდილოეთის სიმიდი-
რენი.

ლენინის სახელით მიდიოდნენ
დამკვრელ კომკავშირულ მშენე-
ლობებზე, რაც კომუნისტური პარ-
ტიის საქმისადმი კომკავშირის ერთ-
გულუბნის სიმბოლოდ იქცა.

ორმოცდაათმა წელმა ბევრი რომ
შეცვალა, მაგრამ უძველესი დარჩა
ქვეყნის მარაღიული სიჭაბუქის —
კომკავშირის გული.

იგივე რწმენა, იგივე რომანტიკა,
იგივე ლტოლვა იქითყვენ, სადაც
სიძველევებაა. „მხოლოდ წინ, მხო-
ლოდ ცეცხლის ხაზზე“.

ისინი, ვისლებიც ამ წერილში ვიამ-
ბობთ, კომკავშირმა აღზარდა. ყო-
ველიველი, რაც მათში ნათელია, კარ-
გია, კომკავშირმა მისცა. ისინი სხვა-
დასხვა ასაკის, პროფესიის, შეხე-

დელეგატების, სურვილების ახალ-
გაზრდები არიან, მაგრამ აქვთ სა-
ერთო კომკავშირული სული.

„...სული შემოგებდა უცებ, ცრემ-
ლებიც მომადგა და გაცხებაც მო-
მინდა, როცა სსრ კავშირის სახალ-
ხო არტისტმა, კინორეჟისორმა ს.
გერასიმოვმა ყრილობას მიაჩვენა ნი-
კოლოზ ოსტროვსკის წიგნი „როგორ
იწრთობოდა ფოლადი“, მწერლისავე
ავტოგრაფით.“

წიგნი მიიღო პავლე კორჩაგინის
როლის შემსრულებელმა ვლადიმერ
კონკინმა. და როცა მასხარობა მწერ-
ლის უეცრადი სიტყვები „მხოლოდ
წინ, მხოლოდ ცეცხლის ხაზზე“ გაი-
მეორა, იმ წუთს დაევიწყე, რომ ის-
ტორიის ბოზბალოდ სპეციალურად
ჩვენთვის, ყრილობის დელეგატე-
ბისათვის, უკან დატრიალდა და ყვე-
ლა ჩვენგანისათვის ძვირფასი, ცო-
ცხალი მწერალი წარმოგვიდგინა.

ეს ჩვენება მით უფრო დასაჯერ-
ებელი იყო, რომ დარბაზის კარები
გაიღო და ექვსმწკრივად შემოსულ-
მა მწვანე ტანსაცმლიანმა ქალიშვი-
ლებმა და ჭაბუკებმა „ენტოზუისტ-
თა მარშის“ გუგუნში წარმოთქვეს
ფიცე.

ისინი იყვნენ საკავშირო აღყ
XVII ყრილობის სახელობის დამ-

კერელორი კომკავშირული რაზმის წევრები, რომლებიც რადღენიმე საათის შემდეგ ჩვენი საუბრების ახალი განიდიოხული მშენებლობის—აი-კალ-აპურის რეინიგის მშენებლობაზე მიემგზავრებოდნენ.

„ფეიცავთ, რომ მთელ ძალ-ღონეს, ცოდნას, კომკავშირული გულის მგზნებარებას მოვამართ კომუნისტური პარტიის საქმეს, კომუნისტის მშენებლობას.“

ფეიცავთ, ფეიცავთ, ფეიცავთ!“

გრიადება დარბაზი“.

პყვება მარინე გურგენიძე, თბილისის 36-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე, საკავშირო ალკ XVII ყრილობის დელეგატი.

მარინე გაცატებით ლაპარაკობს იმ მარად დაუვიწყარ შთაბეჭდილებებზე, რაც მასზე დატოვა კომკავშირის XVII ყრილობამ.

„იმდენად ბედნიერი ვარ, რომ კიდევ დღეცხენია — ჩემი ამხანაგებიდან მართო მე რომ მერგო წილად ვეოფილიყავი საკავშირო კომკავშირის XVII ყრილობის დელეგატი.“

არასოდეს დამაიწყებდა ვანწყობილება, რაც სუფევდა ყრილობაზე, აღმფრენა, რაც გვეუფლებოდა, როცა ლეონიდ ილიას მე ბრევენვის თბილ, გულშიაწმულობ, მამა-შვილურ დარბაზებს ვუსმენდით.

ჯერ არაფერი გამიკეთებია ისეთი, რომ ამ პატივის ღირსი ვიყო.

ახლა ჩემი ყველაზე დიდი სურვილია — ვისწავლო, ვისწავლო და ვისწავლო, რათა ჩემმა წარმატებამ პატარა სხივი მაინც შეკმატოს 34-მილიონიანი კომკავშირის ბრწყინვასა“.

ლოლი ბახტაძე კი საკავშირო ალკ XVII ყრილობაზე არ ყოფილა. ის საქართველოს კომკავშირის XXX ყრილობის დელეგატი გახლდათ.

წულეძიძე მეჩაიე გაბადრული იქნა ყრილობაზე, მისი გული სიხარულს ვერ იტევდა, რადგან სწორედ იმ დღეებში გახდა ლენინის ორდენის კავალარი.

შარშან ზაფხულში სწრაფად მოვიდო რესპუბლიკას ლილის თაოსნობა: „IX ხუთწლეულში — ორი ხუთწლეულის გეგმა“.

მოწინავე მეჩაიეს საქართველოში რა დარღუდა, მაგრამ ლილი მათ შორის განსაკუთრებული შეუპოვობით გამოიჩინევა.

მას დიდი ხანია ვიცნობ.

როცა წულეძიძის კომკავშირის რაიონში ლილი ბახტაძის წარმატებებზე მითხრეს და შემდეგ თვითონ ლილი დავინახე პლანტაციაში, მართალი ვითხრათ, ცოტა ევიცი კი შემეპარა. ამ ტანმოირჩი, კაფანდარა ქალიშვილს ამდენი ჩაი კიდევ რომ მოეკრეფა, პლანტაციიდან ვერ გამოიტანდა-მეთქი.

ამ ჩემი ეჭვის შესახებ ლილის ხუმრობით რომ ვუთხარი, ასე მიპასუხა:

— სხვათა შორის, თქვენ კი არა, ზოგს ჩემს თანასოფელსაც არ სჭეროდა, სანამ საყუთარი თვალით არ დარწმუნდა. სანამლეოზე ორი კალათი ჩაის ფოთოლი მარტო მე გამოვიტანე პლანტაციიდან.

ლილის ახალგაზრდულ რგოლოში 11 მეჩაიეა. ამ ქალიშვილებს ხუთწლეულში 70 ტონა ჩაი უნდა მოეკრიფათ. ხუთში კი არა, სამ წელიწადში მოკრიფეს 99 ტონა!

აი, სწორედ ამან გააბედნიერა თაოსნობით გამოსვლა რესპუბლიკის ახალგაზრდების წინაშე.

ლილის ვალდებულებები ითვალისწინებს, რომ წესდებულ სპექტარო მოსალოანობა 14 ტონამდე გაზარდოს, ხოლო 12 საშუალო სკოლადამთავრებული გოგონა დაუფლოს მეჩაიის პროფესიას.

სწორედ ეს არის საქმისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა. მარტო იმას კი არ უნდა ეცადო, შეს თვითონ გამოიჩინო თავი, არამედ სხვებს გაუღვიძო კომუნისტური შრომის სურვილი.

ლილისთანა ახალგაზრდებზე ლაპარაკი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შარტაძემ საკავშირო ალკ XVII ყრილობაზე.

დღევანდელ პიონერებს, რა თქმა უნდა, გაუგონიათ, რომ 30-იანი წლების ქართველი კომკავშირელების ერთ-ერთი ლოზუნგი იყო კოლხეთის ამოწმობა.

პოეტები ოცნებობდნენ, რომ კოლხეთის ნაქაობარზე ამოაღებოდა „ციტრუსების ფლორიდა“.

და აი, დღეს კოლხეთის ათვისების საუბრის ახალი ძალით დასივდლის წესრიგში.

მათ შორის, ვინც მტკიცე მარჯვენით ემსახურება ამ პარტიულ საქმეს, ავულო აზრამიც არის, ხობის სამელოირაციო მექანიზაციის №2 სამამბრთველოს ექსპეკტორის მემქნაენე.

ყრილობის წინ ავულომ მიიხარა: „მეცხერე წელია მესაჯავბრის მემანქანედ ვმუშაობ. როცა ჩემი ეს-





ქვეყნის იშვიათი

საქართველო
საბჭოთა კავშირი

ანჟორ აბულაშვილი

ახალგაზრდობა ცალ ახაფრენად
გამზადებული ფრთები გაშლილი,
ვინც ზღვებს შიამოხს

საკუთარ აფრით
და ხმელეთს ზომავს თავის არშინით.
ახალგაზრდობა და კომკავშირის
უსაზღვრო ქვეყნის მკლავი, მაჩვენება.
გულით მიმნდობა —

ჭერეთ ბავშვივით —
ნახა ბირის დღეც და გამარჯვებაც.
თავისუფლება ქვეყნად ვინა თქვას
უფრო ძვირფასი, უფრო მაღალი.
ესაა სუნთქვა, სულის სინათლე
და სამიასო მზის ნიადაგი.
თავისუფლება კაცის ფსევია,
რამ სანატრიელი ქვეყნად მრავალთა.
რუსთაველის სიტყვა უპირველესად
თავისუფლებამ ამოანათა.
დღესაც ებრძვიან უძღებ გვიმელშაას.
თავისუფლება ვინც ხელმეო სხვისი.
თავისუფლება უპირველესად
ამ ცისქვეშ მისთვის დაღვრისად
სისხლი.

ხოლო ეს სისხლი იყო ჭაბუკის,
სახმედიმარი ნორჩი ასულის.

ორმოცდაორის ვახსოვს ქარბუქი,
ძაძით მოსილი იგი წარსული.
ახალგაზრდობა იმ ენით უთქმელ
ციცხლში ნაწრთობი ახალგაზრდობა
სანგრებში განველო მათმა კუთვნილმა
ყინვით დამწარალმა მზემ და
ვარდობამ.

ახალგაზრდობა იმედი ხვალის,
იმედი ჩვენი მშობელი ერის,
ახალგაზრდობა სიმტიცერ ვაღლის,
მპყრობელი ზევის, ზღვისა და
ხმელის.

ახალგაზრდობა აღმშენებელი,
გულანთებელი, მხნე და შემტევი,
მარად ახალი გზების მძებნელი,
სიცოცხლის აზრი დაუშრეტელი.
ახალგაზრდობა ცდაახაფრენად
გამზადებული ფრთები გაშლილი,
ვინც ზღვებს შიამოხს

საკუთარ აფრით
და ხმელეთს ზომავს თავის არშინით.

კავთორის ციცივი პირველად შეე-
ხო ქაობიან ლაფს, ვიგრაძენი, რომ
არჩევანში არ შეეცდარავარ. ვერ
ვიტყვი, რომ სიძვილეები არ შემ-
ხედვრია-მეთქი. ბევრჯერ დამთაძე-
ბია ქაობში და ფეხდასველებული
გვიან ღამეს შეეცულვარ შინ, დაისე
დალილი, რომ ფეხსაცმლის გახ-
ლის თავიც არ მქონია...

ხუთწლიანი გეგმით შესასრულე-
ბელი მაქვს 203 ათასი კუბური მეტრი
მიწის სამუშაო; ჩემს ახგარიშზე
შვეი 171 ათასია.

როცა ყრილობის მსვლელობას
ტელევიზიით ვაღვევებდი თვალს,
ერთი წუთით შემეშურა ბაიკალ-
ამბორის მაგისტრალზე წამსვლელი
კომკავშირელებისა, მაგრამ მალე მივ-
ხედო, რომ ჩვენი დამკვირვებელი ფრთ-
ები იქაა, სადაც მუშაობ, სადაც შენი
მეგობრისათვის სასარგებლო საქმეს
აკეთებ.

აი, მაშინ გადაწყვიტე 29 ოქ-
ტომბრისათვის შევასრულო ხუთ-
წლიის დავალება, შემდეგ კი შეა-

თე ხუთწლიანი ანგარიში ვიმე-
შაო.

ეს იქნება ჩემი პასუხი ყრილობის
გადაწყვეტილებებზე“.

სამ ახალგაზრდაზე გაიმბეთ.
სამი სხვადასხვა პროფესიის ალა-
მიანზე.

სამზე იმ 34-მილიონიანი არმი-
იდან, რომელიც ამაყად ატარებს
ლენინის დიდ სახელს.

მაგრამ ამ სამშვიც შეიძლება დაი-
წახობთ თაობის საერთო თვისება —
კომუნისტური იდეალებისადმი, ლე-
ნინისა, რომლის სახელის მინიჭების
ნახევარსაუკუნოვან იუბილეს წლე-
ულს ზეიმობს საბჭოეთის კომკავში-
რი.

ნარჩუნა მემკაძე

მხატვარი რ. ცხაძერიძე.



ტყეკაჭი

ქარლ კობინიძე

მხატვარი ნ. ფორხიძე

მოსთრობა

5

ვიდრე მზე ჩავიღოდა, გაბრუებული დავრატარაყებდი. შინ შევსვალა ალარ მინდოდა. ისეთი წვილი-კვილის ხმა გამომიღოდა ტყისმცველის სახლიდან — ქვეყანა იწყობდა იმითი ცოდვით. მთელი სოფელი მოიგლიჯა და ამ სახლს მოაწყდა ცრემლით, იხვრითა და ვიშვიშით...

ტყისმცველის უფროსობაც მოვიდა, მოიხადეს ქულები და ცრემლით ჩაღამებული თვალებით დასჩერებო-

დნენ ტახტზე გამოვლით ვეება კაცს. მერე ვსული ტეგს იზრავუნებდნენ და ისე ჩამოვლიდნენ კიბეებზე, მისი პატრონი ერთი წელიც რომ ვერ ვეღობოდნენ ასეღა-ჩამოსვლას.

შინ გვიან დავბრუნდი, მოწყვეტილი დავეშვი სხვა და ღელაქემს ვაღავედე. ღელაქემი აჯანს ვაღავედე და და ბავშვს ძუძუს აწოვებდა. გვერდით მეორე აჯანს დავინახე და ყველაფერს მივხვდი — ერთ-ერთში აბრიათას ბიჭი იწვა, ზაზა.

აბრიათას ორი შვილი კიდევ სხვა დარჩა: გიგა მუხეთე კასისში, ნონა კი მეორეში. ოროვე გამოცხადებულნი მამაა.

ხან ღელაქემს მივჩერებოდი, ხან — ბებიას. მამაჩემი და მამა შინ არ იყვნენ, ვიცოდი, ახლა ან ჭირისფულს ანუშეგებდნენ, ანდა რაიმე თადარიგს იჭერდნენ.

ტრილით დაღლილი ბებია მაგადასთან იჯდა და თაზიშ შალის ყურს აწვავლებდა ხელში.

— არ მოგშენდა? — ისე მკითხა, ჩემსკენ არც გამოუხედავს.

— ჯერ აღრეა.

რაღა აღრე იყო — თერთმეტი სრულდებოდა, სოკო რომ გვაძე ტრეკი, მას შემდეგ ლუკმა არ მენახა ვეინო, მაგრამ არც ვამხსენებია შიმშილი. სხვა დროს აკმაღე რა ვამაჩერებდა, რატო სამჯერ არ ავხდილი საპურეს ბებიას ვანიშნე, ძუძუს რომელს აწოვებს-მეთქი.

ცრემლიანი თვალები მომპარდა, ხელში შეჩერინა შალის ყური მხარზე გადავივლი და მითხრა:

— აბრიათ ბიჭია, საცოდავი.

ღელაქემი წამოღდა და ზაზას პირბადე წაფარა. ბავშვი ერთხანს გაუჩრდა, მერე პირბადის ქვეშ ატრიალებდა თავს. თავის ტრიალს ტრილი მოჰყვა.

მივედი და გადავურწიე აკვანს. ის ტრილს უმატებდა, მე — რწყვას...

— ხომ ხელდავ არ ჩუმდება, გადახადე, — მითხრა ღელაქემმა.

გადავხადე: შავი თვალები მომანათა და გამიღმე. იმოდენაა დალოცვილი, სულ ამოუვსია აკვანი!

დავიხარე და ტუჩებზე თითს ვაღებ:

— ალუშუ...

ისიც ლულუნებს, სიცლითა ლულუნებს.

— რა აცილებს მაგ საცოდავს! — იცრემლებდა ბებია.

— სიცოცხლე ჩაუშხამდა.

ზაზა კი ისევ ლულუნებს.

ბებია ისევ იცრემლებდა:

— წამოიზრდება და მაშინ გაიგებს, რა აუვლელი აღმართი აუღლებია წინ! დღერთმა დააკაცოს და, მამა რომ ვახდებდა თვითონ. მაშინ გაიგებს, რა გაუხარავლი სიყმაწვილე ჰქონდა! ბევრი ღამე გაუმწარდება და ბევრი ღლე დავინსლება, სანამ მამისეულ სახლს დაიბრუნებულ კავებს გამოუცვლოს! აღიძინე, შე უბედურო, მანამდე მაინც იძინე მშვიდად, ვიდრე მოჭარბებული გარკიზთ ატეხილი ძვლების ცვენსა სიწმარებთან ძილს მოგანატრებს!..

ბებია წამოიკავა:

— გადავალ, რძალი, მივხედავ იმ შავ ღლეზე გახეწილებს.

— გადადი. ღამეც გაუთოი.

— მერე, მარტო შენ მიხედავ ორ ბალსს?!

— მე რაღა დამაძინებს?

— გამოვალ ხოლმე და დაგხედავ... ბებია რომ წავიდა, ღელაქემმა მითხრა:

— აბა, საათს შეხედე, რომელია?

— ჯერ შშია.

— გზია და ვინ გიშლის ქამას!
შემიშლით არ შმიოდა, მაგრამ შემეშინდა, ვითუ არ დამეძინოს-მეთუ და უკვეშურად ჩაველდი ორიოდ ლუკმა. მერე დაწვექი დასამინებლად ვიწროალე, ვიწრო-ალე და ვერაფრით დავიმძიმე ქუთუთლები. იმდენი სა-ვეტირალი მიმაწყდა, ისე გამაფრთო კლანჭები და შემაქა-ნა, ვერ იქნა და ვერ დაუუსხლტი, ვერ გავაღწეე სამ-ვიოდობაზე...

დავინახე თუ არა, იმ თეთრ კლდესთან რაც მოხდა, ერთბაშად გადაწვევტი, არავისთვის გამეძინდა, თუნდაც კედელზე მისაყენებლად გამაძლიოდა მაქვე. ტყისცვე-ლი დაიღუპა — კიდევ ერთი ალალი, გამაჭეე ადამიანი მოაკლდა ჩემს სთავზე, ჩემს ქვეყანას, მთელ დედამი-წას. თუკი ეს დედამიწა ადამიანებისათვის არსებობს, მაშინ რა უღელბა გვაქვს, ვინმეს ავუკრძალოთ შვის შე-ხედვა? და იღუპა ადამიანი — დარჩა შევიღოკლული დედა, ქერივი ცოლი, დობობუბული შვილები. მაგრამ ამათ გარდა სხვაც იღუპება. — ის, ვინც ამ ადამიანის მკვლელობა...

ტყისცველი დაიღუპა მისიანების, ნაცნობ-ნათესავე-ბის მესხიერებასა და შემორჩება მანამდე, ვიდრე მისიანე-ბი და ნაცნობ-ნათესავეები იქნებიან ამ ქვეყანაზე.

ერთი ადამიანის დაკარგვას მეორეც ემატება: აღარა-ფერი ეშველება ტყისცველს — მოუღონდელია ჩავიდა მისი კოფინილი მზე. ახლა მკვლელოც ზედ მამყვება, ეს კი ორმაგი საბარდელია; კიდევ ერთი ოჯახი ჩაიხრება ცრემლის ნიაღვრამი და ამისი მიზნზე მე ვიქნები. მაშინაც ეს გავიფიქრე და იმიტომაც დაავიდე პირვე კლიტე-ში იმდენი თვითა, ისეც დახანაულებია... კი, ბატონო, მაგ-რა...!

ნატო გამახსენდა და ერთი ნაბიჯიც ამან დამაწვივინა უკან. ნატო ჩემს გვერდში, პირველი კლასიდან სულ ერ-თად წესაყლობით. წულენანლამდე ერთ მერხზე ვისხე-დი. უსწორ ეს ადენეს და დავეცალკვევს. ისა კი ვიცო, ცოტა უორიკანა ჩვენს კლასში? ყბად ავივსლი, ერთბაშეთი გივყარით... ვითომ რა მოხდა; ერთად გემ-ცადინებოდი, ერთად დავედილით კინოში... მოკლედ, სულ ერთად ვივავით. ისე მივეჩვიეთ ერთბაშეთს, რო-გორ ვითხარია...

მითქმა-მოთქმა რომ დაიწყო, მას შემდეგ ვერიდებოთ ერთბაშეთს. საუბარს ვინ გვიშლის, მაგრამ ეს საუბარი გავეითებლეს კარგა ხანია აღარ გასცდენია.

ზოგჯერ მოხდება და ისე არ იცი გავკეთილი, როგორც წესი და რიგია. ჩვენს მასწავლებლებს კი ბევრი ფერება არ უყვარა, მოძიარკვებენ კლასს და ხელის აუკუნა-კუნებლად მიწერიე თობხიან, არ გეპატრება, აქობდა, ხუ-თოსანი ხარო. მაშინ ხმას არ ვიღებ, მარტო იმასლა ვნატე-რობ, მაღე მოტრიალდეს ეს გავკეთილი. ბღვირი რომ ავადინო. ერთი იმ დროს განეჩნათ ნატო. დალაპარაკე-ბა იქით იცი და, მანამდე არ მესაძებნა. ვიდრე იმ ოხერ თობხიან გამართული ხუთიანი არ ამოუდგება გვერდში.

რთული რომ დაიწყო, იმ ხანებში რალაც ჭანდაბად გავკეთილი და ორმოცზე აძივარდა სიციხე. დამაყარეს ხაიო-ხაიოი წამლები, მაგრამ მთელი კერია მაინც მიე-ჩიერებოდა ვერს.

ვინ აღარ მხანულობდა. დათო და რეზო ხომ განუ-წყვეტლივ მესხდნენ სასოფელთან.

ნატო არ გამოჩენილა. ვიფიქრე, ალბათ არც ვახსო-ვარ-მეთქი.

ერთ სალაშოსაც მოვიდა დათო, მისცენა სკაშზე და უსწარად ექმუბავს — დედაჩემი დამტრიალეებს თაზე და იმას ელოდება, როდის გავა გარეთაო. როგორც იქნა, გაიხურა კარი დედაჩემმა. დათომ ქა-

დალი მომაჩიჩა ხელში. ნატოს წერილი იყო — როგო-რა ხარო, როდის ადგებიო, ასპროცენტთან ნაწმრთელო-ბას გისურვებო.

გული უსწარად შემეჩანდა — ისევ ამოწეა აციხეზე მაგრამ ახლა მარტო ლოყები ამეწევა და აღარც ოფლის ხობიშლა მომდებია მეკრდზე...

ჰოდა, იმისი თქმა მიზნობა: ამის შემდეგ მოდი და ასეთ გოგონს ხელოსკრით შეუდგე მამა სიბები... მაგრამ მოაგარი მაინც სულ სხვა: ვფიქრობ და ვერ გამიჩვევია — შემთხვევით დაიღუპა ტყისცველი თუ განებე გადაჩენა კლდზე? თუ განებე გადაჩენა, მაშინ ხომ აღარ გააჩერებდა მანქანას? შემთხვევით გადაავლო და, რატომ გაიქცა? იქნებ შიშით მოხდა, იქნებ — სიბხ-დალით?

ვფიქრობ, ვფიქრობ და მაინც ვერაფრით მიხვტი. რომელია დაავალი ხელი. მარტო ეს გამარკვევია და მიგარ არაფერი მინდა...

- ითაბში მამაჩემი შემოვიდა: — გლოვავს, გიო?
- ხმა არ გავციე.
- სინათლე ჩუნდა ავანთო.
- ანთე.
- ანთო სინათლე, სკაშზე დაჯდა და მომჩერებოდა. — რატომ არ გძინავს?
- ვერ დამძინებ.
- იცი რომელია საათაი?
- არ ვიცი.

— სამია უკვე, შენ კი უკოტივითა ხარ. — წამოდგე. — როდის იყო, აქამდე ფხიზლობდი?!

— ახლა სხვა ამბავია. — მეც უსწრად ეს სხვა ამბავი მაწუხებს, — თქვა და აივანზე გავიდა, იქაც სინათლე ანთო.

წამოვკვიე და დავუძახე: — მამა, რალაც მიხდა გითხობ!

სწარადვე შევიღობა ოთაში.

— დაწევი, წაიფარე სახანი... გისმენ. — ეს ისე მითხ-რა, აშკარად იტყობოდა, ცნობისმოყვარეობამ სუნთქეა შეურკა. — გისმენ. — გათმორა და სკაშზე დაჯდა ისევ.

— ხომ შეიძლება, შემთხვევით დაღუპულიყო ტყის-ცველი? — ვეკოტიბები.

— როგორია? — გადმოიხარა და ყური მომიშვია. ვხედავდი: ნელ-ნელა მოეწეურა თვალი.

— აი... შემთხვევით, — საბანი ამოვიკეცი, — უბრა-ლოდ და შემთხვევით.

— მავალითა, როგორ შემთხვევითი? — შემთხვევითაც ხომ ხდება ავარიები? თოფი გაუ-ვარად შემთხვევით და ვილაცამ ვილაცა მოკლა... კიდევ... ათასი შემთხვევაც.

მამა ჩაყოქრა.

— ასეა, — თქვა მოგვიანებით, — შემთხვევით არა-ფერი ხდება.

— გაზეფებშიც ხომ წერენ ხშირად: შემთხვევით დაე-მართა: შემთხვევამ იმსხვერვალი; ესაო, გამოხაკლიო შემთხვევათა...

— შეცდომა! — მოჭრითა თქვა. — გახეთშიაც ადა-მიანები ჩანან, ჩვენ ვჩანავართ. რაც ჩვენ ხელოთ კეთლე-ბა, იქმნება, ისინიც ჩვენ ვართ, რადგან უჩვენოდ არც ის საგნები და ნივთები იარსებებდნენ. ასე რომ, შენგან ამოკითხულიც ადამიანური შეცდომაა. უნდა ვთქვათ: არა შემთხვევით, არამედ — დაუღლობიანი. ეს სიტყვა მშვენიერად გამოხატავს მოქმედების დედახარს. ხომ გაიკვ?

შეგეკოყმანდა: — ვთქვათ, აკაც თოფი ეკრია ხელში: ცარიელი გეო-

ნა, სასხლტი გამოეშალა და მეგობარი კი მოკლა. ხომ შეძახვივით მოკლა?

— დაუდევრობით. იმ კაცს, ესე იგი მკვლელს, თოფი რომ გადაეხსნა, პირში მიცემულ ვაზნას დინახავდა და სასხლტს აღარ დაუშვებდა. ამისათვის, შენც, კარგად იცი, წუთიც არ არის საჭირო. ხედავ, დაუდევრობამ წუთისოფელს გამოასალმა უდანაშაულო ადამიანი! ამიტომაც ისე უნდა დაისაჯოს, როგორც წინასწარ განზრახვით მკვლელო.

- მაგრამ ვინაგვ ბომ არ ჩიოდნა მკვლელობა?
- რას დაარქმევ, ამას მნიშვნელობა აღარ აქვს — მთავარია შედეგი.
- ზოგჯერ მიზეზი უფრო მგონია მთავარი.
- მართალი ხარ, თუქცა დანაშაულსაც გააჩნია.

6

მეორე დღეს სკოლაში წასვლას არ ვაპირებდი, ვიფიქრე, გასაქცევამ-გამოსაქცევ საქმეს გამოიმჩინენ-მეთქი. მაშინვე ამის თობაზე რომ გადავუქარი სიტყვა, ხმაამოუღებლად დამძინა თავი..

ჩაიში კოვხს ვუტრევი, ღია ფანჯრიდან მოჰმენდილ ცას გავყურებ და პურსა და ყველს ვილოდნები.

— სკოლაში გაგვიანდებ, ცობა აუჩქარე, — მეუბნება ბეია.

- დღეს არ მივდივარ!
- ხედავ, რას ამბობს?! — მამაჩემს მიაჩერდა.
- დარჩეს, — თქვა მამამ და ოხერა ამოაყოლა.
- პაპამ ჩაიში ჩაბეჭებულ პური ისევ ჭიქაში ჩააბრუნა და გულმოსულად ჩაილაპარაკა:
- ჩვენ არა გვეყოფნის ეს ვთი-ვიში, ახლა ამას რომ არ დააწყებს გულზე?
- წავიდეს, — თქვა მამამ და ცარიელი ჭიქა გვერდ-

ზე გასწია...

ჩანთა ავიღე და გზაზე გამოვედი. მივდივარ და ფეხი უკან მრჩება.

სხვა დროსაც დამზარებდა სკოლაში წასვლაზე. მამამ გაკვირული რიგთანაღარ მიცოლენია, ხან სანატრულს მტყუპი მარი მგულბობა შინ — მაგრამ მაშინ სხვა იყო. ახლა კი ვიცოდი, დამლაგებლიდან მოყოლებული დირექტორამდე, ასჯერ მაინც გამახსენებდნენ გუშინდელ ამბავს და ერთიანად გამასევათებდნენ. ლაპარაკი სხვამ თუ იქნის, მეც ვიცი — ეს არაფერია, მაგრამ როგორი სასჯელია, იმ გზაზე უთვალაჯერ გავლა-გამოვლა გიბრძანებს, საითაც მართო გაედეცა, კი გზარავს — ამისი შემინონდა სწორედ.

შემინონდა და აკი არც ამცდა, ოღონდ ქვევიდან მელლი და ზევიდან არ დაიწყე! — მივიღე თუ არა სკოლაში, დათომ მითხრა, დირექტორი გვიდაიბრესო, რეზოც მოვიდა, დაეადით თავი და მივერკინეთ დირექტორის კამბიტს.

— რა კაცი დაიღუპა! — თქვა დირექტორმა, — დიდად შეგნებული ვეკაბო, ზურაგად სანაქებო მამული-შვილი, ჩვენი ტყეების ბურჯი... პო, რა სალი მხარი მოიტეხა სოფელს! — მერე მაკიდის ქალენდარს ფურცელ აახია და მშვიდად გვითხრა: — აბა, დაიწყეთ, როგორ იყო.

ჩვენც ავღვებით და დაიწყეთ. რიგრიგობით ვყვებით ერთსა და იმავე ამბავს: ისე ზუსტად ვყვებით, სიტყვა რა არის, იმ ერთ სიტყვას არც ვაკლდებთ და არც ვუმადებთ. დირექტორი გვიყვებს, დროდადრო მორდებულბობა, მაგიდაზე მსუბუქად დაჰკარავს მუშტსა და მოგოდული ხმით ამბობს:


— უეჭველი ბოროტებამა მკვლელს რომ არ მივაგნოთ, სირცხვილით სად უნდა გამოვყოთ თავი..



მაღე შესვლის ზარი დაირეკა და კირის ოფლმაც იქ

ლო, იკლ და ნელ-ნელა შეგვაშრა. იმ დღეს ექვსივე გაკვირული ისე გავიდა, არავის გაუშვებია დიმილი. მორღვეულები ვისხედით მერტებზე: ცივად ვითვლიდით საეაღლებულო წუთების ჩამოთავებას, როცა გაბმით აწკრიალბებულო ზარი მასწავლებელს ხელში ალღებინებდა საკლასო ქურნალს და დაეჭრებო ქარისაგენ გაახილდებდა.

მხოლოდ ტყისმცველის სიკვილი — სალაპარაკო მერტი არაფერი გვექონია, ათასნარი ვარაუდს, ათასნარი ეშვს გამოთქვამდნენ და ამით უარესად იმძიმებდნენ ისედაც დამძიმებულ გუნებას.



არც სხვა დროს მყვარებმა გაკვირვებულ წრიალი და ხმაორო, მაშინ ხომ მთლად ვავიწყდები და დაემუნჯები. მასწავლებლებმა სკაენის ვაკეთებლების ჩემი უსურბრიკი-ვალ ჩატარება, მაგარამ არაფერი გამოვიდა. სხვათა შორის, იმ დღეს სიაყ ამოუკითხავთ. სკოლაში რომ დადებურდნი, მამა. უი შინ დამხედა — ტახტზე იდა, მუხზელი დიდავი დაიყრდნენ, ნიკაიხი ხე-ნიკაიხულზე ჩამოვიდო და საწყულად მისჩერებოდა ზა-ზას — ბებიათ ეყდა კალთაში. ჩემი და კი აყვანში იყო ჩაყრული და ეძინა.

ჩანთა მავიდაზე დადიე და სკაიმი გამოვიწვი დასაქლო-მად. მამაჩემმა თავი ასწია და მწყურალად შემომხედა: — რას ამბობენ სკოლაში? — ფეხი ფეხზე გადაიღო. — რა ვიცი, — მხერბი ავიჩქეპე.

გაქვარდა: — სკოლაში შენ იყავი და, აბა, მე მეკოდინებ? ადვი-ჭი — და ჭერ თვითონ წამოვდა. მამაჩემი ავიღე. — უპა აკალო, შეილო! — შეეხვეწეა ბებია. მამაჩემმა ყურადღება არ მივაქცია. — წამოიღო — ხელი გაქვინა ყარასაკენ. — სკოტა არ იყო, შეეშინდი. ბებიასკებ ვავიხედე. ალ-ბათ შემატყუ მამაჩემმა და ავი დაეყვავებოდა მითხზა: — სამედიცინო ექსპერტმა დაადინა, რომ აბრია-კლდებზე გადავდიხარ. მიკრდზე, სიგარძი, ხე თუ იჭი რა აქვს დარტყმული — ნაკვლავი მკაფიოდა ხანიათ. რა ხანია, გამოძიებელი გველოდება. რუზო და დათოც იქ მოვიდენ, იმ გამოძიებელთან. როგორც იყო და როგორც დაინახე, ისე უშაბე.

— რაც ვიცოდი, ის უკვირ ვთქვი და რაღას მითხვენ? — ახლა უხდა დაჯიე და დაწერო. წამოიღო.

წელმოწყვიტვილი ავიღევი... მთლიანის ინსპექტორი — გიგო ბუაძის წვარძელე-ბულ კანონტში მთელი ჯარ-ჯამაათი დაჯიედა. საწყერ-მავიას გამოძიებელი უჯდა, აი, ის გამოძიებელი, ლე-ვანს რომ ევახდენ. ტახტზე კი ინსპექტორი, მახარე ჰაპა და ელგუჯა ჩარიგებულნი იყვნენ. სხვა ხუთი კაცი, ხუთივე ჩვენივენი შოფერი, ფეხზე იდგა კიღლის გას-წერივ — ერთმანეთის ვევერდივერდ.

მე და მამაჩემი რომ შევიდით, გამოძიებელი წამო-დგა და ორივეს ხელი ჩემოგვართვა, მერე მამაჩემს სკაიმი გაუწია.

— დაბრძანდი, რეზო. მამაჩემმა თავი დაუქვინა და მერე დაჯდა სკაემზე. ერთხანს დღემოლი ჩამოვარდა. გამოძიებელი გადაშა-ვიგოლო ფურცლებს ათავსიერებდა და მართა იმისი მართალი ისმოდა. ბოლოს ის ფურცლები გადააბრუნა, მავიას მარჯვნივ კუთხეში დაალაგა წყობისად და მამა-ჩემს უთხრა ლიმილით: — დაბეჭდით, პა, რეზო? — ასე გამოიღო, — მამაჩემსაც ვაელომა. — სხვა იყო დალოცვილი სტუდენტობა... გახსოვს, ხბრლად შავი პურები კინალამ სანატრული გვექონდა, წიგნს კი არა ვღალატობდიო ერთხელ...

— იგ იქით იყო, ლევა, — შეაფუვეტინა მამაჩემმა, — ერთი ეს მიბრძანე: დავიჭერო შენი მოსაწონი ქალი ჭერ არ დაბადებულა? — სამავისოდ, ვერ იქნა და, ვერ მოვიცალე.

მამაჩემი გავიგე: თურქი ის გამოძიებელი და მამაჩემი ერთმანეთს, აუპ, საიდან — სტუდენტობიდან იცნობდ-ნენი სულ მალე რეზოც მოვიდა, დათოც. რეზოს მამა მოპ-წყა, დათოს — დედა. გამოძიებელი იმათაც ხელის ჩა-

მორთმევით მიესალმა და მაშინვე დაიწყო: — ყოველშობილ დადებნილია, რომ ტყისმცველი მოე-ლეს, მკერდი რაოც მაგარი აქვს დატყვევული, ან ვი-ცით — კეტრი, არ ვიციო — რა ოხრომა. ავაპრაზეც გვაქვს ექვი. მოკლად, გაურკვევლობამ შემოგვიტია. ამ უხედილო შემოხვევის დროს ვინც იყო ტყისმი, ყველას დავკითხეთ, მაგარამ ვერაფერ ვავიხარა ხელმოსაკიდი რა-მე. კვალმა ვავარა, ვაკლარა და თქვენთან, — გამოძი-ებებელმა შემომადე ასწია ხელი და წყე მოხანა, — თქვენთან მოხვეყანა, ახლა ყველამ დაგვტოვეთ, დერე-ფანში ნუ იტრიალებთ, ეზოში ჩადით; რიგრიგობით ვა-მოვაძიებთ. აქ მხოლოდ ბერიკაცი დარჩება, — მახარე პაპახე თქვა.

კარი რომ ავაპრაილეთ, შოფრებს არც მაშინ ამოუ-ღიბთ ხმა — ასე ჩაფიქრებულნი, ჩანადვლიანებურნი გამოილაღენ გარეთ.

ჩავედით ეზოში და დამღურებულეობით მივბრუნდ-მივბრუნდით, თვალვებ ვარიღებდით ერთმანეთს... ისე მომჩერება, წუთსაც არ გაველო, მახარე ჰაპამ მამ-შინევი ახამურა თხსნაფურჩიანი კიბე.

— ელგუჯა? — დაუძახა, — გამოძიებელი — შე-მოვიდესო.

— რა ვითხრა? — ეკითხება ელგუჯა. — რაც მითხრა, მითხრა — და თვადღუნული წა-ვიღა.

ელგუჯა მალე გამოვიდა: — დათო, შენ და დედაშენს ვიბარებთ. დათო და დედაშენს — შესესვა რაღა იყო და გა-მოსესვა.

— რეზო! — კიბიდანვე ხელს უქნენს დათო, — გელო-ღებობით.

მერე ჩვენი ჭერიც დადგა. — გიო, — მუხუნება ინსპექტორი, — გუშინევი შევა-მოწმე: თუ ბებია ჩანჩქელთან ისხდნენ, მართლაც ვერ-მივაწვდენდი ხმას. მაგრამ კალთაზე კი თქვენს კლდესთან რა უნდოდაო, ფერადობზე მდგარა.

— მაგას ვერ იტყვოდნენ, — მშვილად ვთქვი.

— რატომ? — იმერომ, რომ კლდესთან დადგე. — ავიჯად გახსოვს? — ახლა გამოძიებელი მიკითხე-ბა, თან აჩქარებით წერს და დროდადრო შემომხედავს ხოლოც.

— ყარაზე ყარაჯად. — დავიჭერო?

— დაუჭერო? — მომიშველა მამაჩემი და სკამიდან ტახტზე გადაჯდა — ინსპექტორის გვერდით.

— მაშინ ამას დავიჭერებ: მთელი სოფელი დაბარა-კობს, გიომ იქის სიმართლეო.

— რაც აქამდე ვთქვი, იმაზე მეტი სიმართლე სხვა აღარ ვიცი.

— მიიშვივა, — თქვა გამოძიებელმა და მამაჩემს მიანიჭა, — ღმერთმანი, აღარ ვიცი, რა ვიღონო! თვალბუნევი ცრემლი მომაწავა და მავიდაზე ჩამოვიღე თავი.

— სიმართლე არ გინდათ და ტყუილ ვთქვამ? — მხრე-ბი ამიყანჯალდა.

— დაუწინადო, — თავზე ხელი გადამისვა გამოძიე-ბელმა, წამოვლო და ინსპექტორს ეუხუნება: — მოლო, გი-გო, შენ წყე, და კითხვით მე დავკითხავ.

მამაჩემმა ბეჭე ხელი მომიბათუნა, ტახტზე გადმო-ჭექიო.

ტახტზე გადავქვი და იატაკს თვალი ვიღარ მოვწყვი-ტე სირცხვილით, ცრემლი როგორ გამომიპარა-მეოტი.



გამომძიებელმა ფანჯარა გამოაღო და ეზოში გადას-
ძახა:

- ერთ-ერთი ამოღით!
- კარი გაიღო და რომელიღაც შოფერი შემოვიდა.
- შენი გვარი, სახელი? — ეკითხება გამომძიებელი.
- ბერიშვილი ვანო.
- გამომძიებელი: — აბა, რა იცი ამ საქმის თაობაზე?
- ბერიშვილი: — ერთი მანქანა შეშა მიიხარა და იმისი მოკერა ბილეთი ძველი აღებულ შენდა, მაგრამ ევ-
ლან გამომძიებელი შეშა ვიღარი მზე გვადგა თავზე, ამ
საქმეს ვერ მოვუდებო, მერე კიდე მთელი ჩვენი (ათა
ლობებელი ჩვენს სოფელსა და ტყე-ქალაქზე დაიწერა. ის
ორიოდე დღეა მზეში პირი ქნა ჩვესკენ. გუშინ ექვსი ბიჭი
წავიყვანე ამ საქმეზე, მოვეკრით, დავხერხეთ, შევყარეთ
მანქანაზე და ვთქვით, რაღა აქა ვკმაობთ ბური, წამასვე-
ლები ვართ და ბარემ შინ ჩავიდეთ...
- გამომძიებელი: — სად მოსუკერი შეშა?
- ბერიშვილი: — ტყე, ათვში.
- გამომძიებელი: — სადა ეგ ტყეა ათვში?
- ბერიშვილი: — შვილიანში.
- გამომძიებელი: — განაჯრძე.
- ბერიშვილი: — როცა პანტიანის თეთრ კლდეს ჩამოვ-
ცდით, დაეინახეთ: აბრია-ტყისმცველს, ჩავაყვებო, ზედ
წყაროსთან შევიდა რაო, იმისი ტრუტი დაუწყდა, არცფს
შეად ჩაღლებულ შეინდა და მიირთმევს. ხელი ამიწია
ლიმლით — გზა, მშვიდობისა.
- გამომძიებელი: — დაახლოებით რომელი საათი იქნე-
ბოდა?

- ბერიშვილი: — თორმეტი გადასული იყო.
- გამომძიებელი: — შუადღისა, ხომ?
- ბერიშვილი: — ეგარე.
- გამომძიებელი: — საკმარისია. ახლა წადე და, ლაღ-
რომ არიან, იმათ უთხარი, თქვენს შორის რაღა
ყველაზე უფრო მიეჩვენება სადმე, იმას იბარებს-თქო.
პო, უჩვენივდ ეზოდან ფეხი არ გააღვან.
- ახლა მოვწყვიტე თვლი იატაკს — გამომძიებელი
ჩემს წინ იჯდა საქმეზე.
- ისევ გრძელდება დაკითხვა. მეც ისევ იატაკს დაეჩე-
რებივარ.
- გამომძიებელი: — შენი გვარი?
- ბურნაძე ვანო, უფროსო.
- გამომძიებელი: — ვანო და ვანო!.. გარაჟის გავი
უარზეა — მანქანა მე არ გამიტანებიაო.
- ბურნაძე: ის ქორწილში იყო, ყვარელში, და საიდან
რას გამტანდა? თავმჯდომარის განკარგულება მიუტანე
და ყარაულმა მომეცა მანქანის გასაღები.
- გამომძიებელი: გუშინ სად და როდის შეგხვდა ტყის-
მცველი?
- ბურნაძე: ზევითა პანტიანის თეთრი კლდე რაო, იმს
ქვევით, წყაროსთან.
- გამომძიებელი: — რას აკეთებდა?
- ბურნაძე: — არაფერს, იღვა და ჩემი მანქანისაკენ
იხედებოდა.
- გამომძიებელი: — თავიდან დაიწყე.
- ბურნაძე: — ოთხნი ვიყავით შეშაზე: მე, მამაჩემი და
ჩემი ორი ძმა...
- გამომძიებელი: — ის უსაქმურები?
- ბურნაძე: — ზისთვის უსაქმურები არიან და ვისთვის —
ჯომარლები. ერთს გადავატრიალებთ თვალსა და, თუ
ყბები ექვსებო, ნუ წამოვლენ... იმას ვამბობდი, მოკე-
რით შეშა შეინდიანო, შევყარეთ მანქანაზე და წამოგა-
პრიალეთ სოფლისკენ. პანტიანში თეთრი კლდე რაო,
იმის ქვევით, წყაროსთან...
- გამომძიებელი: — რატომ არ გაგაჩერა, ბილეთზე ხომ
უნდა აღენიშნა, რამდენი მოგჩინდათ შეშა და რამდენი
კიდე გრჩებოდა წასაღები?
- ბურნაძე: — შინ მიეჭრანდი ბილეთსა და იქ ვერ აღ-
ნიშნავდა?
- გამომძიებელი: — ასე ხომ შეიძლება მოატყუო ტყის-
მცველი?
- ბურნაძე: — აბრიას გერ არ ამოსვლიდა ვინმეს მოსა-
ტყუარი, ქბლი. დამინახა, მომჭონდა და, კაცი არა ვარ,
გაქირს როგორღა გაეწვიე? რომც არ დაეინახე, მანს
ვერათვის გამოვაპარებდი და, რა ძალა იყო?
- გამომძიებელი: — თავისუფალი ხარ. ამომიგზავნე
რომელიმე... უჩემოდ არსად წახვიდე...
- ცოტა ხნის შემიღე:
- გამომძიებელი: — რა გვარი ხარ და რა გქვია?
- ალაგიძე შოთა.
- გამომძიებელი: — დაიწყე.
- ალაგიძე: — კაცო, გუშინდელს აქეთ, აი, მესამედ მან-
ჭროვით! რით ვერ გაგავი, რომ ამ საქმეში სულთა ვარ?
კაცი, ერთხელ ნათქვამს რატო არ მიგერებთ? საღი
ამისთვის ეროდება მოწვევად გასვლას, ამისთვის ხუჭაქ
თვალსა — მოდგებით და ბრალდებულზე უარესად
მოწვევებს აწვევებოთ გაქცევა-გამოქცევისა და გატყუ-
ლი სიტყვებით! ბიჭოს!
- გამომძიებელი: — მე რა ვითხარი შენთან?
- ალაგიძე: აი თავისის განგაობობს:
- დღეში ორჯერ მიხარებთ და, აბა, იანგარიშეო.
თვის ბოლოს რამდენი მომწვევს!..
- ინსპექტორმა, კალამი დაღო და თავი გააქნა:

— ჩიტის ჩმეც არ გაკლია, ნერვები კი მაინც დაწყვეტაზე გაქვს.
გამომძიებელი: — თუ საჭირო იქნება, ასევე კიდევ დაგათბავ!

ალაფიძე: — რაც გინდათ, ის მიყავით! ერთი უნდა გეოპერარდო და მოგვეთ ნებაზე, ვნახოთ, როდემდე მამარეგია!

გამომძიებელი: — ახლა აქ რა ამისი ადგილია და, სხვა დროს მოგვლამარაკები... ეზოში მომიცადე.
ალაფიძე: — კარი გაიჭახუნა.

გამომძიებელი: — თქვა ინსპექტორმა, — მაგაზე ნათქვამი, ხეგრე-ხეგრეო.

— ძალიან ვაგიჟამებები, — ეუბნება გამომძიებელი.
— ალალო კაცია და ვითომ რატომ არ უნდა იყოს გამომძიებელი?

— მართალია, — ჩაერთა მამაჩემი. — მთელი სოფელი და მან — მალთითა და სიყვითით არის სავსე. მოურიდებელი ლაპარაკი იცის და, დღევანდლობის ეკლობაზე უხეზოდ გვეჩვენებდა. ისე კი ოქროს გული აქვს...

— უაზროდ დაეჩერებოდი იატაკს, წელი რომ ამიერიად აღმოვლიდა, მართო მამინ ავიშლებოდი ხოლმე და წამსვე ეოლუნებოდი ისევ. იმ შოფრებს, რომლებსაც აქამდე დაკითხეს, რა თქმა უნდა, ყველას ვიცნობდი და ყველა მიცნობდა, შეხედვით კი არც ერთისთვის არ შემიხედავს — ხმას რომ ამოიღებდნენ, მხოლოდ მაშინ ვიგებდი, რომელი შემოვიდა დაკითხვანზე.

მოურიდებულად გაიღო კარი:
— აქა მშვიდობა!
ვანო ქერეკაშვილის ხმა იყო.

გამომძიებელი: — რა ამბავია ადენი ვანო?
ქერეკაშვილი: — რა ვენა, ლევან, მე ხომ არ დავირაქე?

გამომძიებელი: — შენ მაინც გიცნობ, რა შეილიცა ხარ.

ქერეკაშვილი: — იქნებ ას წლამდე მოვიყაროთ ორივემ და სულ იგ უნდა მაყველო, ლევან? შე, კაი, კაცო, მე დავიწე თვა-პირი, შენ ხომ არა?

გამომძიებელი: — შენი შეილები რომ დაობდნენ, რა ჩემი დღეობაა?

ქერეკაშვილი: — ავი მას აქეთ მივარალი არ გავკარებდივარ საჭეს.

გამომძიებელი: — ახლა საქმეს მივხედოთ. გუშინდელი ტყვიდან დაბრუნების ამბავი დაწვრილებით მომიყვივი.

ქერეკაშვილი: — კეთილი. გუშინ მე და ჩემი ცოლის მამა შეინდინაში ვიყავით, ორიოდე ამოხურება ფიჩხი მოვგაროვით, შეეყარეთ მანქანაზე და ისევ უკლებ გამომტრიალდით. შინ რომ მივედი, ჩვენებმა მიბოხრეს, რაღას ტრიალებ, თუ მართლა მიდიხარ, ბარემ წადიო.

გამომძიებელი: — ბილეთი გქონდა?

ქერეკაშვილი: — აბრას არ ვაწყენინებდი, შორეულ ნათესავადაც მომიხედებოდა.

გამომძიებელი: — რომელ საათზე ჩამოსცილდი იმ თვით კლდეს?

ქერეკაშვილი: — თორმეტი გადასული იქნებოდა.

გამომძიებელი: — ტყისმცველი სად ნახე?

ქერეკაშვილი: — წყაროსთან.

გამომძიებელი: — ამომგვლელი მანქანა ხომ არ შეგხედრია?

ქერეკაშვილი: — არა.

გამომძიებელი: — არც ჩამომვლელს წამოსწევიხარ?

ქერეკაშვილი: — არა.

გამომძიებელი: — ფიჩხი ეზოში გადმოსცალე?

ქერეკაშვილი: — იქა.

გამომძიებელი: — ტყისმცველმა არ გაგაჩერა?


ქერეკაშვილი: — ვაჩერებდი, მაგრამ ხელით მანქანა გაიარეო.
თავი ავწიე და ქერეკაშვილის შევხედე. გემბრუნდა მსუი აბოლებდა პაპიროსს, მშვიდად და გემბრუნდა. გამომძიებელმა ჩაახებდა, მერე წამოდა და უთხრა: — გასაგებია. დაბლა მომიცადე.
მამაჩემი და ინსპექტორი ერთმანეთს უყურებდნენ თვალეში.

— რა მოწყენილი მიყურებ, რეზო? — ეუბნება ინსპექტორი, — ჩვენ სულ ამ დღეში ვართ, შენ კი, იტყობა, ეს ერთი საათიც ვერ ავიტანია.

— დემრტმა ავატანინოთ, — წამოიზახნა მამაჩემი. — მათემატიკაშიც ასეა: რთული გეჩვენება და, თურმე, სულ ადვილი ამოსახსნელი კი ყოფილი.

— მშვენიერი შედარებაა, — გაეღიმა გამომძიებელს, — ოღონდ მთავარი, ამოსახსნელი ყველა ხერხი იცოდე. ამ დროს კარზე დააკაკუნეს.

გამომძიებელი კარისკენ შეტრიალდა და ვიღაც შემო-





გამორჩენილ მწერალს და საზოგადო მოღვაწეს სერგო კლდიაშვილს ოთხმოცი წელი შეუსრულდა.

სერგო კლდიაშვილი სამწერლო ასპარეზზე იმ დროს გამოჩნდა, როცა ქართული საბჭოთა მწერლობა პირველ ნახიჯებს დგამდა. ახალგაზრდა პროზაიკოსი მტკიცედ ჩადგა ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელთა რიგებში, მხარში ამოუდგა მათ, ვინც თავისი კალმით ძერწავდა სოციალისტური საზოგადოებისათვის თავდადებულ მებრძოლთა გმირულ სახეებს.

დიდი ღვათი კლდიაშვილის ღირსეულმა შემეფიქრებელმა სახელოვნად გააგრძელა ქართული მწერლობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები. მისი საყოველთაოდ ცნობილი ნაწარმოებები: „ფერფლი“, „მუდრო სავანე“, „ღირბელი მოყმის ამბავი“, „სვანური ნოველები“, „ქინკა ბიჭები“, „დიდი სარკე ბავშვის ოთახში“, „ლაზუნდარლის თავდადასავალი“, „შემოდგომის ყვავილი“,

სგლის ნებას დარტყავდა, ჭერ სხვა თქვა:

— ესეც იშვიათი შემთხვევაა! მობრძანდით. ვახტანგ ღვინიაშვილი შემოვიდა, გაჩერდა და გვიყურებს, როდის რას მკითხავყენო.
გამომძიებელი: — ჰო, შენ შოთას ბიძაშვილი ხარ. გუშინ ვისთან ერთად იყავი ტყეში?
ღვინიაშვილი: — შოთას მეშა ჩამოვუტანე, ისიც იქ იყო.

გამომძიებელი: — აი ალბო! ბილუთი გქონდათ? ღვინიაშვილი: — ალბათ შოგენსენებათ შოთას ამბავი! გამომძიებელი: — დაახლოებით. ამ დაკითხული შოფრებიდან გუშინ რომელი შეგგვდათ ტყეში?

ღვინიაშვილი: — არც ერთი. ჩვენ სულ ზევით ვიყავით. რა ვიცი როგორ ავცდით ერთმანეთს. შოთამ რაო? გამომძიებელი: — აქეთ მიწყებ დაკითხვას?! — ელიშება, — საყურადღებო რაღაც რაღაცები მიგვანიშნა. ვახტანგ, ვადი, დაუშაბე იმით, შემოვიდნენ...

ღვინიაშვილი გავიდა.
მამაჩემმა თვალები მოისრისა და თქვა:
— აქ რაღა გავაკეთოთ, წავალთ.
— ერთი წუთით მოიცადეთ, — სთხოვა გამომძიებელმა.

ინსპექტორმა ოდნავ წამოიწია, სკამი გვერდზე გადაკურა და გამომძიებელს შეხედა. გამომძიებელი ქალადღებს ფურცლავდა. ხუთიწევნი რომ შემოვიდნენ, ის ქალადღებო ინსპექტორს მიაწოდა:

— ჩალოაგე.
მერე შოფრებს გადახედა, მარჯვენა ხელი ასწია, საჩვენებელი თითი დაიქინა და იყვირა:
— თქვენს შორის ერთ-ერთია მკვლელი!

აქა-იქ შეპირებულ ქორწილებზეც წამოიწყეს ჩურჩილი. იმ ხანებში მასწავლებლები უკვე თამამად გამომხებდნენ ხოლმე და მეც, ჩვეულებრივ, გამართულ ხუთიანებს ვეღებდი, მაგრამ ხუთიანებს ცოდნისაყენ მიმავალ გზასთან თითქმის არავფირი ჰქონდა საერთო — ეს





საბჭოთაო ქვეყნისთვის

...ოქმენი გამარჯვებისა, ძმებო! და სხვები ვაპატუვებენ ღრმა პატრიოტიზმით, გულმხურავლად კაცთმოყვარეობით, მხატვრული სიტყვის ხუნდადობით და უზნაო ოსტატობით. უკვლავ ისინი შესულია ჩვენი ეროვნული ლიტერატურის ძეგლს ფენდში.

დიდი წვლილი მიუძღვის სერგო კლდიაშვილს ქართული საყმაწვილო ლიტერატურის განვითარება-გამდიდრებაში. მოზარდი თაობისთვის მიძღვნილი მისი მოთხრობები თუ მოკვლევები ნორჩ მკითხველებს უღვივებენ შეთონილობილეს გრანობებს, უსუბტაქებენ სულიერ სამყაროს, ზრდიან ნათელი მომავლის აქტიურ მშენებლებად.

განსაკუთრებულად ძვირფასია საყვარელი მწერლის მიერ ეურნალ „პიონერისათვის“ გაწეული ამავე. როგორც სარედაქციო კოლეგიის წევრი, იგი მუდამ დაუწყავად იღვწის, რათა ქართული საყმაწვილო ეურნალი იყოს მკითხველთა კერძობარტი მეგობარი და უტყუარი მეგზური ცხოვრების გზაზე.

„პიონერის“ რედაქცია და სარედაქციო კოლეგია, ნორჩ მკითხველებთან ერთად, მხურვალედ ულოცავენ ძვირფას იუბილარს დაბადების 80 წლისთავს, უსურვებენ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ახალ-ახალ შემოქმედებით სიხარულს.

უფრო მოვალეობა იყო, მოვალეობა სკოლაში აღიარებულ ხუთოსნისა: გულში ჩარჩენილი ნაღველი ასე უკებ ვერ ახერხებდა გამოსვლას.

ტყისციცელიის პატარა ბიჭი — ზაზა ისევ ხშირად იყო ჩვენა და დედაჩემიც ისევ აწეოვებდა ძძუს. ეს ამბავი, მართალი ვითარათ, მიკვირდა: შორიდან ჩამოსული ნათესაებები, მახლობლები, რამდენი ხანია, დაემშვიდობნენ ჭირისუფლებს: აყრილ-დაყრილი ენო მიაღაც-მოაღაგეს, მეზობლებმაც წაიღეს თავ-თავიანი მავიდა, სკამი, ქურქული... ატალახებული კბეც ჩამორეცხენ—ზაზა, ი ბებიას კალთაში დუღუნებდა ისევ. ამით იმას, კი არ ვამბობ, თითქოს მწყეხდა — დმერთმა დამიფაროს — პირობით, სკულ სხვა მიანტერესებდა, ის სხვა, რისი გამოთქმაც მიქირს — შვილის უთუფილო სითბო, სითბო ღღისა. აღარ მახსოვს, რამ ჩამაწყვთა ამგვარი ექვიანობა? იქნებ დათალხული ქალის ცივმა გამოხედვამ: იქნებ ძვირფასი აღმანიანს დაკარგვით გამოწვევებმა გულგატეხილობამ, რასაც, დიდებს თუ დაუჭერებთ, ზოგჯერ მომდარა და, ყველაფერზე ხელის ჩაქნება მოპყლოა. დიდებს კი, როგორც ამბობენ, ზღაპარიც დიეჭვებიათ...

ვიტრიალემ, ვიტრიალემ და ისევ ბებიას ვაფუბებდე: — ზაზას თავისი დედა არ აწეოვებს ძძუს? — ეჰ, შვილო, ღარღმა და ნაღველმა რძე გაუშრო... და მაშინ მივხვდი — ზაზა მიყვარდა. თურქმ ნუ იტყვი, შეცოდებითაც იწყება სიყვარული... ამ სიყვარულმა უფრო ამხილა თვალი — მერამდენედ გადამახედა თეთრი კლდინან — დაობლდა პატარა ბიჭი, დაობლდა მამონი, როცა ჯერ კიდევ არ იცოდა, ის იყო მამამ! ეს იმ ბუნის სათავედ იქცა, რამაც დაბადა ერთადერთი დამაფიქრებელი სიტყვა — რატომ? ვთქვით და, დამნაშავეა მამა — შვილმა არღა დაამავა, რატომ უნდა დაიჩაგროს უმამოდ?

დასასრული ზემოთ ნომერი

შენი ღომის ფაფარი, შენი ვეფხვის პეჩანგი, რაც შექმენი, რაც არი, — ძირწავლი თუ კერავლი, — ხალხური ნაცარით, ცეცხლით ფოლადს კვერავლი, იღვწოდი თუ იწვოდი, მნათობივით ელავლი და ყოველი იცოდი: ღამე რატომ ათენე, ან დღე რისთვის აღამე, იარა თუ ამროდელ, მტერი მტერისებრ აღგაგე. კე, მოსულხარ სიდანა, ძუქუქავ, ფოლადიანი, ხედავ, გზაზე იდრანა და წინ უნდა იარო! უკვე ცხაღზე ცხადია მიხანი და ოცნება, — ახლა რაც გვაბადია, მუხუზე აიტყორცნება, მაგრამ შეტის მერება, დასტურ, ჩვენი ვალია! ყოველი ღალს თენება, თითქოს დაღის თვალთა: შეუთა ჩვენი ჩქირალებს, თათვლება, ტბორღება, ასე, ასე იარე; აღარ განმწორდება, თუ ხანდახან შენი გზა გამარულდს ძალათი, — ამგვარ სუფილს შერისხვა, რადგან არის ღალატი. მაგრამ ქართველთ სახელი იყო, რჩება მარადის; მზის ელვარე ნახვი დღეს დროშა პარადის. ია, ჩვენი ნუგემიც რწმენა — სუნთქავდ, იმედად, სისხლთან ერთად გულებში დეღლით მოედინება. შე უკვდავო მცენარევე, მუღლი სასაჯლო! — გზა განვლილი, მღელვარე, ვებერთელა ტილო-ხალხი არის მსატკბავი, (უწინ ტანჯვით უკლია!), გაიხედე, რაც არი, მისი დასატკულია. შრომა ასე ალალი, ცისკარის ნათელს ვადარე, — ცისარტყელა ყალამით აფერადებს მთა და ველს.

რესპუბლიკაც ჩემო,
 რესპუბლიკაც, ასე, —
 ასწი დროშა ზემოთ,
 მზის სიცხოვლით საუგე.
 გზა — ნამგალს და ჩაქუჩს,
 ომი — ომს და სმულს, —
 გამღერებდეს ჩაუქს

ჩაუქრობი ხმა.
 ხვალის ფიქრი გათობს
 და შენც იყავ მზად,
 შრომის გზაა მართო,
 სასიცოცხლო გზა.
 რესპუბლიკაც ჩემო,
 რესპუბლიკაც, ასე, —
 დროშა ასწი ზემოთ,
 მზის სიცხოვლით საუგე.

ჩაია თუ ვენახია,
 არავგი თუ ვენურია,
 სად საქმისთვის ვეგმანობი,
 უიკც სამშობლოს ვროგუელი,
 მალარო თუ ანებია,
 ყანა —
 მხარ-მკლავგასამლეი,
 სად მამულის განმებია,
 ანდა
 ქარხნის დაზგა გველის, —
 დავდგეთ შტიციმდ.
 განა რილით,
 სად დგებიან ათსები, —
 ჩვენი საქმე მესამრდი
 იყოს ქვეყნად მშათა გზებს.

ათასი მოისრა,
 შენ კი — მძლე გადარჩი;
 მტერს ვერაგს, მოისარს
 ლალი თუ ბადახში
 სურდა წარეტაცა,
 თვალს სჭრიდა რომელიც,
 სიმდიდრე ქვეყნის და
 სიმდიდრე მშრომელის.
 გმირობა ხომ არის,
 რაც დღემდე შესძელი!
 აა, მონაპოვრიც:
 ჭაბუკი, დღეგრძელი,
 მუხე ხვდები —
 ბრდღვიალას,
 პრომეთეს თვისებით —
 თასივით პირთამდე
 სიცოცხლით იესები.

რესპუბლიკაც, წინ!
 იყავ სუნთქვა ახლის!
 გვაამაყებს:
 ვინ?
 --- ეს მშრომელი ხალხი.
 რესპუბლიკაც, დედაც,
 მზე ფოალით შესვი, —
 ვედაც,
 ყველა ვებდავთ,
 უჭკნობი გაქვს ფესვი.
 რესპუბლიკაც ჩემო,
 რესპუბლიკაც, ასე!
 ასწი დროშა, ზემოთ,
 მზის სიცხოვლით საუგე!



საუბი გაფლუობას გაღაპარხიეთ



ვინც სოფელში ცხოვრობს, კარგად იცის რა არის მეწეულ ხე: ვაშლი, მსხალი, ატამი ან სხვა ხეხილი ერთ წელიწადს რომ ნაყოფით დაიხუნძლება, მეორე ზაფხულს ტოტები ცარიელია ასე მტორდება ყოველი წელიწადის გამოხვედით.

ჩვენი სკოლის ნაკვეთზე გაშენებული ვაშლის ხეებიც მეწეულები იყვნენ. „ნუთუ არ შეიძლება, ამ „ცულ ჩვევას“ გადავაჩვიოთ?“ — გაიფიქრეთ ნორჩ ნატურალისტთა წრის წევრებმა. ეს აზრი ბუნებისმეტყველების მასწავლებელს გაეცანით. მოდით, ვცადოთ, — გპიონხა და საქმეს შევუდგეთ.

ვაშლის ოთხ ხეს საგულდაგულოდ მოვუარეთ. შემოდგომაზე მკვდარი ქერქი მოგაცილეთ — სწორედ ასეთ ადგილებში იზრდებიან მავნებლები. ნაფხეკი რომ ნიადაგში არ მოხვედრილიყო, მიწაზე ტოტობი გაეფინეთ და მთელი ქერქი ბაღის გადღამა დაეწვიოთ. შემდეგ ხეების ღეროები შევათოთრეთ. გაზაფხულზე ძირები შემოვუბარეთ, ხელოვნურად გამოვკვებეთ — ნიადაგში შვეიტანეთ სუპერფოსფატი, რკინის შემც-

ნორჩ კორესკონდენტთა ჟურნალი

ველი კონცენტრატი. ჭია რომ არ გაჩენილიყო, ორჯერ შევწამლეთ. გაზაფხულზე ხელით გამოვხშირეთ ვაშლის ყვავილები, მოვახდინეთ დამტვერვა.

და აი, ოთხივე ხე მეწეულობის წესსაც უხედავ მოგვცა ნაყოფი. ასე იყო შემდგომაც. ახლა მთელ ბაღს ასეთიან-ირად გუვლით და ყველა ვაშლის ხე ყოველწლიურად ისხამს.

ჩვენი მოწეული ხილი და რეფერატი წარდგინილი იყო ნორჩ ნატურალისტთა სამუშევრების რესპუბლიკურ გამოფენაზე. სპეციალისტებმა ჩვენი ნაშრომი მოიწონეს.

მ. ბარბათაშვილი,
ბოლნისის სულხან-საბა ორბელიანის
სახელობის საშუალო სკოლის მოს.
წავლი.

ჩვენი ელეუელელი გაგობრეკი

7 ოქტომბერი — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბადების დღე — ჩვენი რაზმეულის პიონერულ კალენდარში წითელი ფერით არის აღნიშნული. ამ დღეს ყოველთვის ვანთავთ კოცონს და პიონერულ საღამოს ვეგზავნი ჩვენს გერმანულ მეგობრებს — ქალაქ ელენფელდის მე-4 საშუალო სკოლის პიონერებს.

ამ მეგობრობას სამი წლის ისტორია აქვს. ტელმანელმა პიონერებმა გამოგვიგზავნეს ფოტოსურათები, ღია ბარათები, პიონერული გაზეთი და ჟურნალები. საფოსტო მარკები, წიგნები და სუვენირები.

ამ საჩუქრებმა გვიკარნახა გერმანული ენის კამინეტის მოწყობა. ელენფელდელ მეგობრებს წერილებს გერმანულ ენაზე ვსწერთ, ვაწყობთ დაუსწრებელ მოგზაურობას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ვეცნობით ტელმანის სახელობის პიონერული ორგანიზაციის ისტორიას.

მანანა ღარიბა,
დაბა ჩაქვის საშუალო სკოლის მოს.
წავლი.

ქორწილი.

ჭია ცინცაძე.





სამთავრო
სამხარე
სამხარე
სამხარე
11 წელი

თანდილას ფყარო

სოფელში მის დაარსებამ თანდილას ფყარო დაწარმოა, ამის გამო თებერვლისთვის წევრს იყენებოდა და ღირებულ წევრად აღიარებდა საბავარო ქალს.

ფაშაღას ამ ამბავს, სწავლად მივირბოდა და წავალი აკრებდა და ამდენ ხანს და ჩავალი ვეზულებს ამდენი თანდილას თებერვლის ერთადერთი ვაჟი რქვეთა. სოფელში ვაჟის წევრებთან აღდგარით ვეკავებო... სოფელს სხვად წავალი არ მქონია. შირი მანდილადან ესაღებოდნენ თებერვ.

„სოფლის შემოგარენი გუთია მდარეული არ შეიძლება სახე წყარო არ ამოდიოდნენ“ — ესეჭრია თანდილას. ხელს ვინააფ დარეუჩავს ესეჭრისა. საერთოდ ტყუილ წყაროდია, ჩავალი ვეძღვ.

სოქვენია, მასე ერთობისათა, თანდილას მუშაობების დარეუჩავს და სოფელში ასეთი წავალი ჩამოყენებია, რომ მისი მადელი მხოლოდ თუ იქნებოდა სხვად თანდილას წყარო კი მანამ შეურქვეთავი მხოლოდ,

